ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს ... ...

№ ეროვნული ბიბლიოთეკა

„ 450. უწყვეტთა სპეციალური სხსარის შესახებ.
„ 451. სავაჭრო და სამრეწველო საწარმოთა რეგისტრაციის ვადის განგრძობის შესახებ.
„ 452. სასოფლო-სამეურნეო გადასახადის ანარიცხის შესახებ 1925/26 საბიუჯ. წლისათვის.
„ 453 საურთიერთო კრედიტის საზოგადოებათათვის ნებართვის მიცემის შესახებ, რომ სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების გირავნობით სესხი მისცენ და კრედიტი გაუხსნან ხელმე იმ პირებს, ვინც ამ საზოგადოებათა წევრად არ ირიცხება.
„ 454. „სოციალური დაზღვევის გადასახადის ტარიფის“ თაობაზე ს. ს. რ. კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს მიერ 1925 წ თებერვლის 26-ს თარიღით გამოცემული დადგენილების შეფარდებისათვის შეშუშავებული ინსტრუქციის სამოქმედოდ შემოღების შესახებ.
„ 455. ავდრანობაში მუშაობის შეწყვეტისა და მოცდენისათვის სასყიდლის მიცემის შესახებ.

დადგენილება № 28 აკ. ს. ფ. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭოსი.

436. დებულება სანოტარო გამოსაღების შესახებ.

ა/კ. ს. ფ. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

დამტკიცებულ და სამოქმედოთ შემოღებულ იქნეს შემდეგი დებულება სანოტარო კონტორებისა და სახალხო მოსამართლეების მიერ სანოტარო მოქმედების შესრულებისათვის გადასახდეველნებელი გამოსაღების დახარჯვისა და სახაზინო შემოსავალში ჩაბარების შესახებ.

დ ე ბ უ ლ ე ბ ა.

სანოტარო კონტორებისა და სახალხო მოსამართლეების მიერ სანოტარო მოქმედების შესრულებისათვის გადასახდეველნებელი გამოსაღების დახარჯვისა და სახაზინო შემოსავალში ჩაბარების შესახებ.

1. ნოტარიატისა და სანოტარო მოქმედების შემსრულებელი სახალხო მოსამართლის (ეს უკანასკნელი მარტოოდენ სანოტარო მოქმედების შესრულებისათვის) შენახვა სწარმოებს დამტკიცებული ხარჯთაღრიცხვის ფარგლებში იმ თანხებით, რასაც იგი მიიღებს სანოტარო მოქმედების შესრულებისათვის.

2. ნოტარიატისა (სანოტარო განყოფილებისა და სანოტარო კონტორების—თვითეულისა ცალკე) და სანოტარო მოქმედების შემსრულებელი სახალხო მოსამართლის ხარჯთაღრიცხვას განიხილავს და დაამტკიცებს იუსტიციის სახალხო კომისარიატი, ამიერკავკასიის ფინანსთა სახალხო კომისარიატის რწმუნებულთან (რესპუბლიკაში) შეთანხმებით; ხოლო, უკეთუ იუსტიციის სახალხო კომისარიატსა დი ამიერკავკასიის ფინანსთა სახალხო კომისარიატის რწმუნებულს შორის შეთანხმება ვერ იქნა მიღწეული, საკითხი საბოლოო გადასაწყვეტად გადაეცემა სათანადო რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს.

შენიშვნა. დამტკიცებულ ხარჯთაღრიცხვას ამიერკავკასიის ფინანსთა სახალხო კომისარიატის რწმუნებული წარუდგენს ერთ ცალად ამიერკავკასიის ფინანსთა სახალხო კომისარიატს.

3. როგორც სანოტარო მოქმედების შემსრულებელ სახალხო მოსამართლეს, ისე სანოტარო კონტორას, რომელიც იმყოფება სანოტარო განყოფილების სამყოფელი ადგილის გარეშე, აქვს თავისი სახელდახელო ანგარიში ადგილობრივ საფინანსო განყოფილებაში, სადაც იგი კვირაში ერთხელ მაინც შეიტანს სანოტარო მოქმედებისა და ტეხნიკური მუშაობისათვის მიღებულ თანხებს. ხარჯებს დამტკიცებული ხარჯთაღრიცვის ფარგლებში სანოტარო კონტორა და სახალხო მოსამართლე აწარმოებს, როგორც ხელთქონებული თანხებიდან, ისე იმ თანხებიდან, რაც სახელდახელო ანგარიშზე ირიცხება. ყოველთვიურად, არა უგვიანეს საანგარიშო თვის მომდენო თვის მე-5 რიცხვისა, სანოტარო კონტორა და სახალხო მოსამართლე გადაჰგზავნის მის სახელდახელო ანგარიშზე დარჩენილ თანხას სანოტარო განყოფილების სახელდახელო ანგარიშზე და დაიტოვებს თავის სახელდახელო ანგარიშზე მხოლოდ იმ თანხას, რაც საჭიროა კონტორის ან სახალხო მოსამართლის შენახვისათვის უახლოესი თვის განმავლობაში.

4. სანოტარო კონტორა, რომელიც იმ ქალაქში იმყოფება, სადაც სანოტარო განყოფილებაა, კონტორის შენახვაზე თვით არავითარ ხარჯს არ ეწევა. როგორც კონტორის პირადი შედგენილობის შესანახ ხარჯს, ისე საკანცელარიო და სამეურნეო ხარჯებს აწარმოებს, ხარჯთაღრიცხვის ფარგლებში, სანოტარო განყოფილება, სადაც კონტორა კვირაში ერთხელ მაინც შეიტანს სანოტარო მოქმედებისა და ტეხნიკური მუშაობისათვის მიღებულ თანხებს.

5. იმ თანხებიდან, რაც სანოტარო განყოფილების სახელდახელო ანგარიშზეა მე-3 და 4 მუხ. წესისამებრ, აგრეთვე იმ თანხებიდან, რაც უშუალოდ განყოფილებაში შევა, სანოტარო განყოფილება დაიტოვებს იმ თანხას, რაც საჭირო იქნება თვით განყოფილებისა და იმ ქვემდებარე კონტორების შესანახად უახლოესი თვის განმავლობაში, რომლებიც განყოფილების სამყოფელ ქალაქში არიან, და აგრეთვე აწარმოებს იუსტიციის სახალხო კომისარიატის ნებართვით ასიგნების გაცემას იმ სანოტარო კონტორებისა და სანოტარო მოქმედების შემსრულებელ სახალხო მოსამართლეთა შესანახად, რომელთა გამოსაღებიც ვერ დაჰფარავს მათ სახარჯთაღრიცხვო ხარჯებს, და თვითეული ასეთი ასიგნების შესახებ აცნობებს ამიერკავკასიის ფინანსთა სახალხო კომისარიატის სათანადო რწმუნებულს.

შემოსავლის გადანამეტს, რაც ხარჯებს გადარჩება, სანოტარო განყოფილება ყოველთვიურად, არა უგვიანეს საანგარიშო თვის მომდევნო თვის 25 რიცხვისა, შეიტანს ფინანსთა სახალხო კომისარიატის სალაროში იუსტიციის სახალხო კომისარიატის ხარჯთაღრიცხვით.

ა/კ. ს. ფ. ს. რ. სახალხო კომისართა

საბჭოს თავმჯდომარის მაგიერ **ა. ნაზარეთიანი.**

ა/კ. ს. ფ. ს. რ. სახალხო კომისართა

საბჭოს საქმეთა მმართველის თან. დრ. აღმ. **ნ. სოკოლსკი.**

ტფილისი—სასახლე. 1925 წ. მაისის 21.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 890 №-ში 1925 წ. ივნისის 2-ს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 29 ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოსი

437. სტუდენტების პრაქტიკანტობის შესახებ.

1. დაეკალოს ყველა სახელმწიფო, აგრეთვე საზოგადოებრივ და კერძო საწარმოსა და დაწესებულებას მიიღოს ხელმე სამუშაოზე, ამა დებულებით დადგენილ და მისი შეფარდებისათვის გამოცემული ინსტრუქციის წესისამებრ, პრაქტიკული მეცადინეობისათვის წარვლინებული სტუდენტები და ის პირნი, რომელნიც ამთავრებენ უმაღლეს ტეხნიკურ და სასოფლო-სამეურნეო სასწავლებელს პრაქტიკულ ინსტიტუტს, სახალხო მეურნეობის ინსტიტუტს, უნივერსიტეტის სამედიცინო და საზოგადოებრივი მეცნიერების ფაკულტეტებს.

2. ყველა დაწესებულება და საწარმო, გარდა ქვემოდ ჩამოთვლილებისა, მოვალეა თავისი სახსარით სასყიდელი მისცეს პრაქტიკანტს მუშაობისათვის, უკეთუ მათი რიცხვი არ აღემატება ხსენებული საწარმოს და დაწესებულების მუშათა და მოსამსახურეთა საერთო რიცხვის 2%-ს, ხოლო სამრეწველო, სასოფლო-სამეურნეო, სატრანსპორტო საწარმო და ფოსტა-ტელეგრაფის სახალხო კომისარიატის დაწესებულების მუშათა და მოსამსახურეთა საერთო რიცხვის 1%-ს.

შენიშვნა. პრაქტიკანტებისათვის სამუშაო სასყიდლის მისაცემი ხარჯები დაეკისრება, თანახმად მე-2 მუხლისა, საწარმოს და დაწესებულებას, პრაქტიკანტის ოთხი თვის მუშაობის ანგარიშის მიხედვით მთელი წლის განმავლობაში.

3. მე 2 მუხ. აღნიშნული ნორმების ზედმეტად სტუდენტები საპრაქტიკოდ გაიგზავნებიან რესპუბლიკების განათლების სახალხო კომისარიატების ხარჯით; ამასთანავე ამა მუხლში აღნიშნული წესისამებრ საპრაქტიკოდ გაგზავნილი სტუდენტების რიცხვი არ უნდა აღემატებოდეს უმაღლესი სასწავლებლების სახელმწიფო სტიპენდიატების 25%-ს.

4. სტუდენტების საპრაკტიკოდ გაგზავნის საქმეს განახორციელებენ შრომის სახალხო კომისარიატის ორგანოები, პროფესიონალური განათლების მთავარი სამმართველოს მიერ სათანადო ცნობების წარდგენის შემდეგ.

5. იმ საწარმოს თუ დაწესებულებას, სადაც განზრახულია სტუდენტების საპრაქტიკოდ გაგზავნა, წინასწარ უნდა ეცნობოს ამის შესახებ შრომის სახალხო კოსისარიატის მიერ; თანაც მიეცეს უფლება შეირჩიოს მე 2 მუხ. აღნიშნული ნორმის ფარგლებში სტუდენტები სპეციალობის მიხედვით იმ კანდიდატთა შორის, რომელნიც დასახელებულ იქნებიან უმაღლესი სასწავლებლის მიერ.

შენიშვნა. ის საწარმო, რომელიც არ გამოიყენებს სტუდენტების შერჩევის უფლებას, მოვალეა მიიღოს შრომის სახალხო კომისარიატის ორგანოების მიერ გაგზავნილი სტუდენტები.

6. დაწესებულ იქნეს საპრაქტიკოდ გაგზავნილი სტუდენტებისათვის შრომის სასყიდელი მათ მიერ შესასრულებელი სამუშაოს მიხედვით, ხოლო არა ნა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

კლებ იმ სატარიფო ქსელის მე-6 კატეგორიის განაკვეთისა, რაც უწყებულ საწარმოში თუ დაწესებულებაში მოქმედობა.

შენიშვნა. უკეთუ სტუდენტი საპრაქტიკოდ წარიგზავნება სასწავლებლის სამყოფელი ადგილის გარეშე, მას სასწავლებელი მისცემს უფასო ბილეთს საპრაქტიკო ადგილამდე მისვლისათვის და უკან დაბრუნებისათვის, ხოლო სტიპენდიატს მისცემს აგრეთვე ამთავითვე ორი თვის სტიპენდიას.

7. მიენდოს ამიერკავკასიის შრომის სახალხო კომისარიატს, ამიერკავკასიის პროფესიონალურ კავშირთა საბჭოსთან და ამიერკავკასიის ს. ფ. ს. რ-ში შემავალი რესპუბლიკების განათლების სახალხო კომისარიატებთან და სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოებთან შეთანხმებით, გამოსცეს ინსტრუქცია ამა დადგენილების შეფარდებისათვის.

ა/კ. ს. ფ. ს. რ. სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარის მაგ. **ა. ნაზარეთიანი**

ა/კ. ს. ფ. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველის თან. დრ. აღმ. **ნ. სოკოლსკი.**

ტფილისი-სასახლე. 1925 წ. მაისის 25

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 890 №-ში 1925 წ. ივნისის 2-ს.

დადგენილება № 30 ა/კ. ს. ფ. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭოსი.

438. ა/კ. ს. ფ. ს. რ-ში მეტრულ საზომ-საწონთა განაწილების შესახებ.

რათა ა/კ. ს. ფ. ს. რ-ში თავის დროზე და წარმატებით განხორციელებულ იქნეს მეტრული რეფორმა, ა/კ. ს. ფ. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. წინადადება მიეცეს ამიერკავკასიის ზომა-წონის მთავარ კომისიას სასწრაფოდ შეუდგეს ა/კ. ს. ფ. ს. რ-ში მეტრულ საზომ-საწონთა განაწილებას.

2. დაევალოს ყველა დაწესებულებას და ორგანიზაციას, აგრეთვე კერძო პირს, რომელიც კი თავისი სპეციალობის მიხედვით საზომ-საწონსა ჰხმარობს, შეიძინოს სათანადო რაიონში ამიერკავკასიის ზომა წონის მთავარი კომისიის ორგანოს გამნაწილებელ პუნქტისაგან, ამიერკავკასიის ზომა-წონის მთავარი კომისიისა ან მისი რესპუბლიკანური ორგანოს მიერ გამოქვეყნებულ ვადაზე, მეტრული საზომ-საწონი იმის პროპორციონალურად და შესაფერისად, თუ რამდენი ძველი (ურეფორმო) საზომ-საწონი აქვს.

შენიშვნა. მე-2 მუხ. მოთხოვნა არ გავრცელდება სპეციალურ საზომ-საწონზე, რომელსაც ა/კ. ზომა-წონის მთავარი კომისია არ ამზადებს, როგორიც არის: სამილიგრამო წვრილ-საწონი, მეტალისა და ხის საკეცი მეტრი და ნახევარ-მეტრი, ხის სამორე, სამიწისმზომელო და სარეზერვუარო საზომი, სამიწისმზომელო ჯაჭვი და ლენტი, მეტრული ხვეული (რულეტკა) და სხვ.

3. საზომ-საწონთა განაწილება უნდა სწარმოებდეს რაიონობით ერთსა-დაიმავე დროს ა/კ. ს. ფ. ს. რ-ში შემავალ სამსავე რესპუბლიკაში, აგრეთვე ა/კ. ს. ფ. ს. რ. ცალკე უწყებათა და სახალხო მეურნეობის დარგების მიხედვით, ა/კ. ზომა-წონის მთავარი კომისიის მიერ შემუშავებული გეგმისამებრ, ხოლო იმ ანგარიშით კი, რომ განაწილება მთლად დამთავრებულ იქნეს არა უგვიანეს 1925 წ. ოქტომბრის 1-სა; ამავე ვადისათვის დამთავრებულ უნდა იქნეს ა/კ. ს. ფ. ს. რ-ში შემავალ სამსავე რესპუბლიკაში არა-სწორმხრიანი სასწორების შკალის გადაკეთება.

4. საზომ-საწონთა განაწილების ვადებს ცალკე რაიონებში, აგრეთვე განაწილების ყველა დეტალებს განსაზღვრენ და თავის დროზე წინასწარ გამოაქვეყნებენ ა/კ. ზომა-წონის მთავარი კომისიის რესპუბლიკანური ორგანოები.

5. ის დაწესებულება, საწარმო და პირი, რომელიც არ შეიძენს მეტრულ საზომ-საწონს ა/კ. ზომა-წონის მთავარი კომისიისა და მისი რესპუბლიკანური ორგანოების მიერ გამოცხადებულ ვადაზე, გადაიხდის ჯარიმად ყველა იმ საზომ-საწონის ფასს ერთი-სამად, რაც მას უნდა შეეძინა. ჯარიმა ესე დაიდება ა/კ. ზომა-წონის მთავარი კომისიის ადგილობრივი ორგანოს დადგენილებით და გადახდევინებულ უნდა იქნეს ადმინისტრატიული წესით.

შენიშვნა. დადგენილება ჯარიმის დადების შესახებ შეიძლება განსაჩივრებულ იქნეს დაინტერესებული მხარის მიერ ა/კ. ზომა-წონის მთავარი კომისიის რესპუბლიკანურ ორგანოში ერთი კვირის განმავლობაში ჯარიმის დადების გამოცხადების დღიდან.

6. მეტრულ საზომ-საწონთა განაწილებისათვის გამოცხადებულ ვადაზე ყველა სახელმწიფო, საზოგადოებრივი და კერძო დაწესებულება, საწარმო და ორგანიზაცია, აგრეთვე კერძო პირი მოვალეა რეგისტრაცია გაუკეთოს ა/კ. ზომა-წონის მთავარი კომისიის განმანაწილებელი რესპუბლიკანური ორგანოს სათანადო რაიონში ყველა მის ხელთქონებულ მეტრულ საზომ-საწონს, რაც ა/კ. ზომა-წონის მთავარი კომისიის ორგანოების გარეშე შეუძენია.

7. ის დაწესებულება, საწარმო და პირი, რომელიც ამა დადგენილების მე-6 მუხ. აღნიშნულ ვადაზე რეგისტრაციას არ გაუკეთებს მის ხელთქონებულ მეტრულ საზომ-საწონს, გადაიხდის ჯარიმას იმ რაოდენობით და იმ წესით, რაც აღნიშნულია ამა დადგენილების მე-5 მუხლში.

8. დამტკიცებულ იქნეს სახელმწიფო მეტრულ საზომ-საწონთა დამზადებისა და გაყიდვის კონტორის ფასებთან შეფარდებული მეტრულ საზომ-საწონთა შემცირებული შეფასება.

ა/კ. ს. ფ. ს. რ. სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარის მაგიერ **ა. ნაზარეთიანი.**

ა/კ. ს. ფ. ს. რ. სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველის თან. დრ. აღმ. **ნ. სოკოლსკი.**

ტფილისი—სასახლე. 1925 წ. მაისის 25.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 890 №-რში 1925 წ. ივნისის 2-ს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინსტრუქცია 3502 ა/ბ. შინა-საქართველოს სახალხო კომისარიატისა.

439. **„სასაქონლო ნიშნების“ შესახებ ა/კ. ს. ფ. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭოს მიერ 1925 წ. თებერვლის 12-ს თარიღითა და მე-4 №-რით გამოცემული დადგენილების შეფარდებისათვის.**

„სასაქონლო ნიშნების“ შესახებ ა/კ. ს. ფ. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭოს მიერ 1925 წ. თებერვლის 12-ს თარიღითა და მე-4 №-რით გამოცემული დადგენილების 26 მუხ. თანახმად, ა/კ. ს. ფ. ს. რ. შინა-საქართველოს სახალხო კომისარიატი, საქართველოს ს. ს. რ., აზერბაიჯანის ს. ს. რ. და სომხეთის ს. ს. რ. იუსტიციის სახალხო კომისარიატებთან და სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოებთან შეთანხმებით, ამყარებს შემდეგ წესებს სასაქონლო ნიშნების რეგისტრაციისათვის:

1. განცხადება სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის შესახებ შეიტანება უშუალოდ ან გაიგზავნება ფოსტიო საწარმოს პატრონისა ან სპეციალური რწმუნებულობით უფლებამოსილი პირის მიერ სათანადო რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოში.

2. თვითეული სასაქონლო ნიშნისათვის, რომელიც კი განცხადებულ იქნება სარეგისტრაციოდ, საჭიროა ცალკე განცხადება.

3. სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის შესახებ შეტანილ განცხადების ტექსტში აღნიშნულ უნდა იყოს:

ა) საწარმოს პატრონის სახელი და სწორი მისამართი, აგრეთვე თვით იმ საწარმოს სახელწოდება, რომლისთვისაც გამოითხოვება სასაქონლო ნიშნის განსაკუთრებული სარგებლობის უფლება;

ბ) ყველა ის დოკუმენტი, რომლის ძალითაც საწარმო კანონიერად არსებობს;

გ) ვადა, რომლის განმავლობაშიაც გამოითხოვება სასაქონლო ნიშნის განსაკუთრებული სარგებლობის უფლება (ა/კ. ს ფ. ს. რ. სახ. კომ. საბ. დადგენ. 15 მუხ.);

დ) საქონელი ან საქონელთა სახე, რომლისთვისაც გამოითხოვება სასაქონლო ნიშანი;

ე) დანართთა ნუსხა—მათი შინაარსის აღნიშვნით (ინსტრ. მე-4 მუხ.);

ვ) განმცხადებლის ან რწმუნებულის ხელმონაწერი და განცხადების შედგენის დღე.

4. განცხადებას უნდა დაერთოს:

ა) არსებული წესით შემოწმებული რწმუნებულობა, უკეთუ განცხადება შეტანილია რწმუნებულის მიერ;

ბ) სამი ცალი სასაქონლო ნიშნის ნახატი და მისი აწერილობა; ხოლო,

ეროვნული ბიბლიოთეკა

უკეთუ სასაქონლო ნიშანს სიტყვის ხასიათი აქვს (დეკიზი, ორგინალური სიტყვები), იგი შეიძლება მოთავსებულ იქნეს განცხადების ტექსტში;

გ) საღერბო გამოსაღები, თანახმად საღერბო წესდების 1-ლი მუხ. „ა“ პუნ.

5. სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის შესახებ შეტანილი განცხადების ყველა დანართს უნდა ჰქონდეს აღნიშვნა, რომ იგი უწყებულ განცხადებას ეკუთვნის.

6. განცხადებასთან დართული სასაქონლო ნიშნის ნახატი შესრულებულ უნდა იყოს ტუშით ან სხვა რაიმე გამძლე ფერადით.

უკეთუ საქმის წარმოების პროცესში, სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს მოთხოვნით ან განმცხადებლის სურვილით, ნახატი ასე თუ ისე შეცვლილ იქნება, მოწმობის მიცემამდე განმცხადებელმა უნდა წარუდგინოს სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს სამი ცალი შეცვლილი ნახატი და აწერილობა.

7. უკეთუ სასაქონლო ნიშნის რეგისტრაცია შეიძლება მხოლოდ მისი ნაწილობრივ გადაკეთების შემდეგ, სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭო აცნობებს ამას განმცხადებელს და თანაც აღნიშნავს, სახელდობრ რა და რა ნაწილი უნდა იქნეს შეცვლილი ან ჩამოშორებული; ამასთანავე მისცემს მას განსაზღვრულ ვადას სათანადოდ შეკეთებული ნიშნის წარდგენისათვის.

8. უკეთუ განცხადება შეტანილ იქნება ამა ინსტრუქციის მე-3 და 4 მუხ. აღნიშნული წესების შეუსრულებლობით, განცხადებას მსვლელობა არ მიეცემა, რასაც სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭო აუწყებს განმცხადებელს და თანაც მისცემს მას განსაზღვრულ ვადას შეცდომების გასწორებისათვის.

9. უკეთუ ამა ინსტრუქციის მე-3 და 4 მუხ. თანახმად სარეგისტრაციოდ განცხადებული სასაქონლო ნიშანი შეიძლება გატარებულ იქნეს რეგისტრაციაში, ამას სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭო აუწყებს განმცხადებელს და თანაც აღნიშნავს, რომ მოწმობის მისაღებად მან უნდა წარადგინოს: ა) საღერბო გამოსაღები, ბ) ქვითარი, რომ წარდგენილია მოწმობის გასაცემი ბაჟი—10 მან. წლიურად იმ ვადის შეფარდებით, რა ვადითაც გამოითხოვება მოწმობა (ა/კ. ს. ფ. ს. რ. სახ. კომ. საბჭოს დადგენ. 22 მუხ.), გ) სასაქონლო ნიშნის სარეგისტრაციო პუბლიკაციის ღირებულება და დ) სასაქონლო ნიშნის 25 ანაბეჭდი.

როდესაც განმცხადებელი შეასრულებს ყველა იმ მოთხოვნას, რაც გათვალისწინებულია ა/კ. ს. ფ. ს. რ. სახ. კომის. საბჭოს მე-4 № რის დადგენილებასა და ამა ინსტრუქციაში, სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭო მისცემს მას პირადად ან გაუგზავნის ფოსტით მოწმობას სასაქონლო ნიშნის განსაკუთრებული სარგებლობის უფლების შესახებ.

10. სასაქონლო ნიშნების რეესტრში შეტანილ უნდა იქნეს:

ა) მოწმობის მიცემის დღე,

ბ) მისი მიმდინარე ნომერი,

გ) ალბომის კატეგორია,

დ) საქმის ნომერი,

ე) განცხადების მიღების დღე,

ვ) საწარმოს პატრონის სახელი და საცხოვრებელი ადგილი, ბელო სათანადო შემთხვევაში—მისი წარმომადგენლისა.

ზ) საწარმოს სახელწოდება, სახე და სამყოფელი ადგილი,
თ) მოწმობის მოქმედების ვადა,
ი) მოწმობის მოქმედების ვადის განახლება,
კ) საქონელთა სახე,
ლ) ნიშნის გამოსახულება ან აწერილობა,
მ) აღნიშვნა გაუქმების შესახებ.

11. სასაქონლო ნიშნების ალბომში შეტანილ უნდა იქნეს:
ა) მოწმობის ნომერი,
ბ) ნიშნის გამოსახულება,
გ) პატრონის სახელი.

ალბომი, იმისდამიხედვით, თუ როდის იქნება იგი შედგენილი, ორცალად გაეგზავნება ა/კ. ს. ფ. ს. რ. შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულს სათანადო რესპუბლიკაში; იგი ამ ორ ცალიდან ერთ ცალს გაგზავნის ა/კ ს. ფ. ს. რ. შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატში. ალბომის ყველა ცვლილება და დამატება თავისდროზე გაიგზავნება ორ-ორ ცალად.

12. იმ საწარმომ, რომელსაც თავისი სასაქონლო ნიშანი გაუტარებია რეგისტრაციაში ა/კ სახალხო კომისართა საბჭოს 1925 წ. თებერვლის 12-ს თარიღისა და მე-4 №-რის დადგენილების გამოქვეყნებამდე, და რომელსაც ჰსურს შეინარჩუნოს ამ ნიშნის განსაკუთრებული სარგებლობის უფლება, უნდა ხელახლად რეგისტრაცია გაუკეთოს თავის სასაქონლო ნიშანს 1925 წ. აგვისტოს 1-დე, რის შემდეგაც ყველა ის მოწმობა სასაქონლო ნიშნის სარგებლობის უფლების შესახებ, რომელიც გაცემულია სათანადო რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს მიერ, გაუქმებულად ჩაითვლება

შინა-ვაჭრობის სახალხო
კომისრის მოადგილე **გამყრელიძე**

საქმეთა მმართველი **ეირანოვი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 891 №-ში 1925 წ. ივნისის 3-ს.

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კ. ს. ფ. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭოს.

440. ქალაქ შემახის მცხოვრებთათვის, აღმშენებლობის საქმის წარმატების მიზნით, საგადასახადო შეღავათების მინიჭების შესახებ.

ქალაქ შემახის ზემო (უმალარიო) ნაწილის აღსადგენად წარმოებულ აღმშენებლობის წასაქეზებლად—ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ა/კ. ს. ფ. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

I. განთავისუფლებულ იქნენ ქალაქ შემახის ზემო (უმალარიო) ნაწილში ახლად აგებული შენობების პატრონნი შემდეგი გადასახადისა და გამოსაღებისაგან:

1) ისეთი ცხენისა და სხვა ცხოველის გადასახადისაგან, რომელიც ზიდვა-რონინების სარეწავში იხმარება;

2) შენობათა გადასახადისაგან;

3) იმ სასყიდლის ზედნართისაგან, რასაც სანოტარო ორგანოები ახდევინებენ შენობათა გასხვისებისა და აღნაგობის უფლების აქტების ქმნისათვის;

4) სამრეწველო ბაღებისა და ბოსტნების გადასახადისაგან;

5) ოთხფეხი საქონლისა და სხვა შინაურ ცხოველის გადასახადისაგან;

6) დამატებითი რენტისაგან;

7) სახელმწიფო სარეწავი და საშემოსავლო გადასახადის ზედნართისაგან;

8) საბინაო გადასახადისაგან.

შენიშვნა. შემახის აღმასრულებელ კომიტეტს ნება ეძლევა დაწესოს ქალაქ შემახის ზემო (უმალარიო) ნაწილის სწორი საზღვრები.

II. 1-ლი მუხ. მე-2, 3, და 8 პუნქტ. ჩამოთვლილ გადასახადისაგან განთავისუფლების ვადად დაწესებულ იქნეს 10 წელიწადი, ხოლო დანარჩენ პუნქტებში ჩამოთვლილ გადასახადებისაგან განთავისუფლების ვადად —5 წელიწადი.

ამიერკავკასიის ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **ს. ხანოიანი.**

ა/კ. ს. ფ. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი **ა. შავერდოვი.**

ტფილისი—სასახლე. 1925წ. ივნისის 1.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა-"ს 898 №-ში 1925 წ. ივნისის 12-ს.

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კ. ს. ფ. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭოსი.

441. სოციალური დაზღვევის გადასახადის ტარიფის შესახებ.

„სოციალური დაზღვევის გადასახადის ტარიფის შესახებ" ს. ს. რ-ბის კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს მიერ 1925 წ. თებერვლის 26-ს თარიღით გამოცემული დადგენილების თანახმად —ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ა/კ. ს. ფ. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაუქმებულ იქნეს ა/კ. ს. ფ. რ. სახალხო კომისართა საბჭოს შემდეგი დადგენილებანი: 1923 წ. მაისის 11 ს თარიღისა და 48 №-რისა „სოციალური დაზღვევის სატარიფო განაკვეთის რაოდენობის შესახებ (კან. კრ. მე-8 №-რის 106 მუხ.); 1924 წ. იანვრის 9-ს თარიღისა და 119 №-რისა — „ადგილობრივ ბიუჯეტებზე მყოფ დაწესებულებებზე და საწარმოებზე სოციალური დაზღვევის გადასახადის სატარიფო შეღავათის გავრცელების შესახებ“ (კან. კრ. 1-ლი №-რის 18 მუხ.); 1924 წ. თებერვლის 28-ს თარიღისა და 11 № რისა—„სოციალური დაზღვევის განაკვეთის ტარიფის რაოდენობის შეცვლის შესახებ სახელმწიფო და ადგილობრივ ბიუჯეტზე მყოფ დაწესებულებათათვის“ (კან. კრ. მე-3 №-ის 53 მუხ.), და აგრეთვე ა/კ. ს. ფ. ს. რ-ში შემავალი რესპუბლიკების მთავრობათა სათანადო დადგენილებანი.

ამიერკავკასიის ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **ს. ხანოიანი.**

ა/კ. ს. ფ. ს. რ. სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი.**

ამიერკავკასიის ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ა. შავერდოვი.**

ტფილისი — სასახლე. 1925 წ. ივნისის 1.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 898 №-ში 1925 წ. ივნისის 12-ს.

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა.

442. კავკასიის წითელდროშიანი არმიის ეროვნულ დივიზიათა სამხედრო ტრიბუნალებისა და პროკურატურის დებულების შეცვლის შესახებ.

ა/კ. ცენტრალური აღმასრ. კომიტეტის 1924 წლის სექტემბრის 22-ის დადგენილებით (ა/კ. ს. ფ. ს. რ-ის კანონთა კრებული 1924 წ. № 7, მუხ. 229) კავკასიის წითელდროშიანი არმიის ეროვნულ დივიზიათა სამხედრო ტრიბუნალებისა და პროკურატურის შესახებ გამოცემული დებულების მე-4 მუხლის შესაცვლელად—ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

1. აღნიშნულ დებულების მე-4 შუხლი მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით: „სამხედრო ტრიბუნალების თავმჯდომარეთ და წევრთ დანიშნავს და დათხოვს სამსახურიდან ს. ს. რესპუბლიკების კავშირის უზენაესი სასამართლოს სამხედრო კოლეგია, ს. ს. რესპუბლიკების კავშირის რევოლუციონურ სამხედრო საბჭოსთან შეთანხმებით და რესპუბლიკანური იუსტიციის სახალხო კომისარიატის წინასწარი დასკვნით. სამხედრო ტრიბუნალის პროკურატურის პირთა დანიშვნა და სამსახურიდან დათხოვნა მოხდება ს. ს. რესპუბლიკების კავშირის უზენაეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

სასამართლოს პროკურორის ბრძანებით ა/კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის შედგენილობაში შემავალი ამა თუ იმ რესპუბლიკის პროკურორის წარდგენისამებრ“

2. აზერბაიჯანის ს. ს. რესპუბლიკის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს წინადადება ეძლევა გადასინჯოს აზერბაიჯანის ს. ს. რესპუბლიკის სასამართლოს წყობილების დებულების 65 და 81-ა მუხლი და მათი რედაქცია შეუთანხმოს კავკავკასიის წითელდროშიანი არმიის ეროვნულ დივიზიათა სამხედრო ტრიბუნალებისა და პროკურატურის დებულებას მე-4 მუხლს, რომელიც მიღებულია ა/კ. ცენტრალური აღმასრ. კომიტეტის მიერ 1925 წლის ივნისის 1-ის დადგენილებით.

ა/კ. ცენტრალური აღმასრულებელელი
კომიტეტის თავმჯდომარე **ს. ხანოიანი.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი **ა. შავერდოვი.**

ტფილისი- სასახლე. 1925 წლის ივნისის 1.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა-ს“ 898 №-ში 1925 წ. ივნისის 12 ს.

დადგენილება № 31 ა/კ. ს. ფ. ს. რ-ს სახალხო კომისართა საბჭოსი.

443. მუშა-მოსამსახურეთა ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესების ფონდიდან გამოსაყოფი ნაწილის რაოდენობის შესახებ—ა/კ. ს. ფ. ს. რ-ში მუშათა საბინაო კოოპერატიულ აღმშენებლობისათვის გრძელ ვადიანი საშელავათო სესხის მისაცემად.

ა/კ. ს. ფ. ს. რ-ს სახალხო კომისართა საბჭოს მიერ 1925 წ. იანვრის 5-ს თარიღითა და მე-3 №-ით გამოცემული (კან. კრებ. 1-ლი №-რი, მუხ. 333) დადგინილების მე-6 მუხ. განსავითარებლად—ა/კ. ს. ფ. ს. რ-ს სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

მუშათა საბინაო კოოპერატიული აღმშენებლობისათვის გრძელვადიანი საშელავათო სესხის მისაცემად მუშა-მოსამსახურეთა ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესების ფონდიდან გამოსაყოფი ნაწილის რაოდენობად ა/კ. ს. ფ. ს. რ-ში დაწესებულ იქნეს სამოცდახუთმეტი პროცენტი.

ა/კ. ს. ფ ს რ-ს სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი.**

ა/კ. ს. ფ. ს. რ-ს სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველის თან. დრ. აღმ. **ნ. სოკოლსკი.**

ტფილისი—სასახლე. 1925 წ. მაისის 21

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 898 №-ში 1925 წ, ივნისის 12-ს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა.კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი.

444. სახელმწიფო ქონების სახელმწიფოებრივი და ადგილობრივი მნიშვნელობის ქონებად განსაზღვრის შესახებ.

რათა სახელმწიფო მიწები, საწარმონი და საიჯარო ადგილები განსაზღვრულ იქნეს სახელმწიფოებრივი და ადგილობრივი მნიშვნელობის ქონებად — ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ა/კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1 აზერბაიჯანისა, სომხეთისა და საქართველოს სოც. საბჭ რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებთან მოეწყოს სახელმწიფო ქონების განმსაზღვრელი რესპუბლიკანური კომისები. კომისიაში შევლენ: თავმჯდომარედ — ა/კ ფინანსთა სახ კომისარიატის სათანადო რწმუნებული და წევრებად — წარმომადგენელნი: მიწათმოქმედების სახ კომისარიატისა, სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოსი, შინაგან საქმეთა სახ. კომისარიატისა და ადგილობრივი აღმასრულებელი კომიტეტისა (ტფილისისა, ერევნისა და ბაქოს) — კუთვნილებისამებრ.

2. ყველა არაგაერთიანებული სახალხო კომისარიატი და ადგილობრივი აღმასრულებელი კომიტეტი შეადგენს მის გამგებლობაში ქონებული სახელმწიფო მიწებისა, საწარმოთა და საიჯარო ადგილების სრულ სიას და წარუდგენს სათანადო რესპუბლიკანურ კომისიას (მუხ. 1-ლი) არა უგვიანეს ერთი თვისა ამა დადგენილების გამოქვეყნების დღიდან

შენიშვნა 1. სიების ფორმას და ინსტრუქციას ამ სიების შედგენისათვის შეიმუშავებს ა/კ. ფინანსთა სახ. კომისარიატი.

შენიშვნა 2. ავტონომიური რესპუბლიკების სახალხო კომისარიატები და ადგილობრივი აღმასრულებელი კომიტეტები მე-2 მუხლში აღნიშნულ სიას წარუდგენენ სათანადო რესპუბლიკანურ კომისიას ა/კ ფინანსთა სახალხო კომისარიატის რწმუნებულის რწმუნებულთა მეშვეობით.

შენიშვნა 3. ადგილობრივ აღმასრულებელ კომიტეტს შეუძლიან, გარდა მე-2 მუხლში აღნიშნული სიისა, წარუდგინოს რესპუბლიკანურ კომისიას სია იმ მიწებისა, საწარმოთა და საიჯარო ადგილებისა, რომელიც თუმცა ამ ჟამად სხვა უწყების გამგებლობაშია, მაგრამ უფრო მიზანშეწონილი იქნება, რომ იგი ადგილობრივ აღმასრულებელ კომიტეტს გადაეცეს.

3. რესპუბლიკანური კომისია განიხილავს სიებსა და ქონების სახელმწიფოებრივი და ადგილობრივი მნიშვნელობის ქონებად განსაზღვრის პროექტებს და არა უგვიანეს თვე-ნახევრისა ამ დადგენილების გამოქვეყნების დღიდან წარუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დგენს მათ თავისი დასკვნით სათანადო რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს—დასამტკიცებლად.

4. ამიერკავკასიის ფინინსთა სახალხო კომისარიატს დაევალება გამოსცეს ინსტრუქცია ქონების განმსაზღვრელი რესპუბლიკინური კომისიებისათვის.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **ს. ხანოიანი.**

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბ. რესპუბლიკის
სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივნის მაგიერ **ს. იაკუბოვი**

ტფილისი—სასახლე. 1925 წლის ივნისის 9.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა.“ს 900 №-ში 1925 წ. ივნისის 14 ს.

დადგენილება ა/კ. რკინის გზების გამგეობასთან არსებული საუწყებათაშორისო სატარიფო თათბირისა.

ოქმი № 7-49
1925 წ. ივნისის 4.

445. **ტომრების შენახვისათვის გამოსაღების დაწესებისა, სადგურ ლიბანზე არსებული სანატორიუმისათვის მასალის გადასაზიდავად შემცირებული შეღავათიანი ტარიფის დაწესებისა და ადგილობრივი ტარიფის გაუქმების შესახებ ძირტკბილას გადაზიდვისათვის და მუშათა გადაყვანისათვის ბაქოს სადგურიდან საბუნჩის სადგურამდე.**

I

ა/კ. რკინის გზებზე საწყავი ტვირთის ტომრების შესანახი გამოსაღების დაწესების შესახებ თანხმად 29965 სატარიფო განკარგულებისა, რომელიც გამოქვეყნებულ იქნა ტარიფთა კრებულის წ. წ. დეკემბრის 2-ს, 231 №-ში.

I

იმ ტომრების შესანახი სასყიდელი, რაც მიმღებთა მიერ განმზადებულია ა/კ. რკ. გზ. სადგურებზე მოსული საწყავ ტვირთისათვის, ორი კვირის გასვლისას, რაც ეს ტომრები უსასყიდლოდ იქნება შენახული, გადახდევინებულ უნდა იქნეს იმ გამოსაღების რაოდენობით, რაც დაწესებულია სადგურებზე მოსული ყოველგვარი ტვირთის შენახვისათვის; რაოდენობა ესე აღნიშნულია ტარ. კრებ. 1-ლი ნაწილის 29 პარაგრაფის მე-VI კარის მე-2 პ. (სატ. სახელმძღვ. № 16

ამასთანავე: 1) სათვალავში მიიღება ტომრის ნამდვილი წონა, ხოლო არა უმეტეს 1, 2 კილოგრამისა თითო ტომარაზე; 2) უკეთუ ტომრების პატრონი უარს იტყვის ამ ტომრებში რკინის გზით ტვირთის გაგზავნაზე, გამოსაღები შენახვისათვის გადახდევინებულ უნდა იქნეს იმ წამიდან, როდესაც ტომრები ფაქტიურად მიღებულ იქნა შესანახად და ორი კვირის ვადა უსასყიდლოდ შენახვისა სათვალავში აღარ მიიღება და 3) რკინის გზა თავის თავზე მიიღებს პასუხისმგებლობას შესანახად ჩაბარებული ტომრების გაუუქებისა და დაკარგვისათვის.

II

შემცირებული შელავათიანი ტარიფის (0,57 კაპ. ტონნა-კილომეტრზე) დაწესების შესახებ საგზაო სადასაზღვეო სალაროს საშენი მასალის გადაზიდვისათვის ა/კ. რკ. გზ. სადგურ ლიბანზე სანატორიუმის ასაშენებლად.

საგზაო სადასაზღვეო სალაროს საშენი მასალის გადაზიდვისათვის სადგ. ლიბანზე სანატორიუმის ასაშენებლად დაწესებულ იქნეს შემცირებული შელავათიანი ტარიფი—0,57 კაპ. ტონნა-კილომეტრზე ა/კ. რკ. გზ. ყველა სადგურიდან სადგ. ლიბანამდე, სანაპირო და საპორტო სადგურების გამოკლებით.

III

ა/კ. რკ. გზ. ადგილობრივი ტარიფების გაუქმების შესახებ—მე-4 №-რისა (04)—ძირტკბილას გადაზიდვისათვის და მე-7№-რისა (04)—მუშათა გადაყვანისათვის ბაქო—პასაჟის სადგურიდან საბუნჩის სადგურამდე.

ა/კ. რკ. გზ. ადგილობრივი ტარიფები: მე-4 №-რი (04)—ძირტკბილას გადახიდვისათვის, რომელი ტარიფიც გამოქვეყნებულ იქნა ტარიფ. კრებ. 131 №-ში 1155 სატარიფო №-ით, და მე-7 №-რი (04)—მუშათა გადაყვანისათვის ბაქო-პასსაჟის სადგურიდან საბუნჩის სადგურამდე, რომელი ტარიფიც გამოქვეყნებულ იქნა ტარიფთა კრებ. 126 №-ში 1096 სატარიფო №-რით,—ჩათვალოს გაუქმებულად.

დადგენილება ესე ძალაში შედის გამოქვეყნებიდან 7 დღის გასვლის შემდეგ, ამა დადგენილების 1-ლი პარ. გამოკლებით, რომელი პარაგრაფიც შეფარდებულ უნდა იქნეს გამოქვეყნებიდან 30 დღის გასვლის შემდეგ.

ა/კ. რკ. გზ. გამგეობასთან არსებული
საუწყებათაშორისო სატარიფო თათბირის თავმჯდომარის
მოადგილე, ა/კ. რკ. გზ. გამგეობის წევრი **მამედბეკოვი.**

ა/კ. რკ. გზ. გამგეობასთან არსებული
საუწყებათაშორისო სატ. თათბირის საქ. მმართველი **შახბუდაღოვი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 900№-ში 1925 წ. ივნისის 14-ს

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა.

446. ა/კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის ფიზიკური კულტურის უმაღლესი საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს: დამტკიცებულ იქნეს შემდეგი დებულება ა/კ ს ფ ს. რესპუბლიკის ფიზიკური კულტურის უმაღლესი საბჭოს შესახებ.

დებულება

ა/კ. ს. ფ. ს რესპუბლიკის ფიზიკური კულტურის უმაღლესი საბჭოს შესახებ.

I. საბჭოს მიზანი და დანიშნულება.

1. ამიერკავკასიის ფიზიკური კულტურის უმაღლესი საბჭოს დაარსების მიზანია გააერთიანოს და წარმართოს ა/კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების მოქმედება ფიზიკური კულტურის სფეროში.

2. ამიერკავკასიის ფიზიკური კულტურის საბჭოს დანიშნულებაა:

ა) ყოველნაირად ხელი შეუწყოს პროლეტარული ფიზიკური კულტურის განვითარებას ა/კ. ს ფ. ს. რესპუბლიკის ფარგლებში—მისი შემადგენელი რესპუბლიკების ყოფა-ცხოვრებისა და სხვა თავისებურობის მიხედვით.

ბ) მჭიდროდ შეთანხმებული მუშაობა იქონიოს წითელ სასპორტო ინტერნაციონალთან და განახორციელოს მისი დავალებანი.

II. საბჭოს შედგენილობა.

ა/კ. ფიზიკური კულტურის საბჭო უშუალოდ ემორჩილება ა/კ. ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს. საბჭო შესდგება თავმჯდომარისა და მდივნისაგან რომელთაც დანიშნავს ა/კ. ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი, და სამი წევრისაგან; წევრებს პერსონალურად დაასახელებს თავმჯდომარე იმ პირთაგან, რომელთაც შეუძლიანთ აქტიური დახმარება გაუწიონ ამ საქმეს, და დაამტკიცებს ა/კ. ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი.

უკეთუ აზერბაიჯანის ს. ს. რესპუბლიკისა, სომხეთის ს. ს. რესპუბლიკისა და საქართველოს ს. ს. რესპუბლიკის ფიზიკური კულტურის საბჭოების თავმჯდომარენი დაესწრებიან ა/კ. საბჭოს სხდომას,—მათ აქვთ გადამწყვეტი ხმის უფლება საბჭოს ყოველგვარი საქმის განხილვის დროს.

ა/კ. საბჭოსთან არსებობს მისი ტექნიკური აპარატი.

III. საბჭოს ფუნქციები.

ა/კ. ფიზიკური კულტურის საბჭოს ფუნქციები შესდგება შემდეგი ნაწილებისაგან:

ეროვნული ბიბლიოთეკა
მუზეუმი

ა) საორგანიზაციო;
ბ) სამეცნიერო-ტეხნიკური;
გ) სააგიტაციო-საინფორმაციო;
დ) საგამომცემლო.

აღნიშნული ფუნქციები განხორციელდება ა/კ. ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მიერ დამტკიცებული წლიური გეგმის ფარგლებში, რომელი გეგმაც განიყოფება კვარტალებად.

1. საორგანიზაციო მუშაობას აწარმოებს სამდივნო, ფიზ. კულტურის საბჭოს თავმჯდომარისა ან თავმჯდომარის მოადგილის მეთვალყურეობით; სამდივნოში შეივლენ: ა) პასუხისმგებელი მდივანი; ბ) სამეცნიერო,-ტეხნიკური კომიტეტის თავმჯდომარე; გ) სააგიტაციო საინფორმაციო ბიუროს გამგე; დ) საქმეთა მმართველი და ე) ინსპექტორები.

2. სამეცნიერო-ტეხნიკურ მუშაობას აწარმოებს სამეცნიერო-ტეხნიკური კომიტეტი, რომელიც მოეწყობა მის შესახებ გამოცემული დებულების თანახმად. კომიტეტის დებულებასა და შედგენილობას დაამტკიცებს ა/კ. ფიზ. კულტურის საბჭო.

3. სააგიტაციო- საინფორმაციო ბიურო მოქმედობს თანახმად მის შესახებ გამოცემული დებულებისა, რომელსაც დაამტკიცებს ა/კ. ფიზ. კულტურის საბჭო.

4. ა/კ. საბჭოს საქმეთა მმართველობა, საქმეთა მმართველის სახით, რომელსაც ა/კ. საბჭო დანიშნავს, გაუძღვება საბჭოს კანცელარიას და ამიერკავკასიის მასშტაბით აწარმოებს სახარჯთაღრიცხვო-საფინანსო მუშაობას და აგრეთვე ა/კ. ფიზიკური კულტურის საბჭოს საგამომცემლო საქმეს.

5. ა/კ. ფიზიკური კულტურის საბჭოს ყველა განყოფილება სამდივნოს ხელმძღვანელობაშია და უშუალოდ მას ემორჩილება.

6. ა/კ. ფიზიკური კულტურის საბჭოსთან უშუალოდ მოეწყობა „ამიერკავკასიის სტადიონის აღმშენებელთა კომიტეტი“ შვიდი კაცისაგან, რომელთაც დაასახელებს ა/კ. ფიზ. კულტურის საბჭო და დაამტკიცებს ა/კ. ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი.

თავის პრაქტიკულ საქმიანობას კომიტეტი განახორციელებს ა/კ. ფიზ. კულტურის საბჭოს საქმეთა მმართველობის მეშვეობით.

IV. საბჭოს უფლებანი.

1. ა/კ. საბჭო არის უმაღლესი ხელმძღვანელი ორგანო ფიზიკური კულტურის განვითარების საქმეში ამიერკავკასიის ფედერაციის ტერიტორიაზე.

2. ა/კ. ფიზ. კულტურის საბჭოს უფლება აქვს შეაჩეროს ა/კ. ფედერაციის შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ფიზიკური კულტურის საბჭოების ყოველგვარი დადგენილება და წარუდგენს მოხსენებას ა/კ. ცენტ. აღმასრ. კომიტეტის პრეზიდიუმს თხოვნით, რათა ამგვარი დადგენილება გაუქმებულ იქნეს.

3. ა/კ. ფიზიკური კულტურის საბჭოს აქვს იურიდიული პირის ყველა უფლება და ამ უფლებას განახორციელებს სათანადო განყოფილებათა მეშვეობით.

4. ა/კ. ფიზიკური კულტურის საბჭოს აქვს თავისი ბეჭედი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

V. საბჭოს სახსარი.

ა/კ. ფიზიკური კულტურის საბჭოს სახსარს შეადგენს ის თანხა, რასაც გასცემს ა/კ. ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი:

ა) სახარჯთაღრიცხვო წესით და

ბ) ერთდროული დახმარების სახით.

აგრეთვე ის თანხა, რაც მიღებულ იქნება თვით ა/კ. საბჭოს ოპერაციათა და საწარმოთაგან.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **ს. ხანოიანი.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივნის მაგიერ **ს. იაკუბოვი.**

ტფილისი—სასახლე. 1925 წლის ივნისის 9.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 901 №-ში 1925 წ. ივნისის 16-ს.

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კ. ს. ფ. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭოსი

447. **ა/კ. ს. ფ. ს. რ. შრომის სახალხო კომისარიატთან არსებული ამიერკავკასიის სოციალურ დაზღვევის საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ა/კ. ს. ფ. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

დამტკიცებულ იქნეს შემდეგი დებულება ა/კ. ს. ფ. ს. რ. შრომის სახალხო კომისარიატთან არსებული ამიერკავკასიის სოციალური დაზღვევის საბჭოს შესახებ.

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

ა/კ. ს. ფ. ს. რ. შრომის სახალხო კომისარიატთან არსებული ამიერკავკასიის სოციალური დაზღვევის საბჭოს შესახებ.

1. ამიერკავკასიის ფედერაციაში სოციალური დაზღვევის საქმის საერთო მოწესრიგების მიზნით არსდება, თანახმად სოციალური დაზღვევის საკავშირო საბჭოს შესახებ ს. ს. რ. კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს მიერ 1925 წ. თებერვლის 6-ს თარიღით გამო-

ცემული დადგენილებისა, ამიერკავკასიის სოციალური დაზღვევის საბჭო ა/კ. ს. ფ. ს. რ. შრომის სახალხო კომისარიატთან.

2. ა/კ. ს. ფ. ს. რ. შრომის სახალხო კომისარიატთან არსებული ამიერკავკასიის სოციალური დაზღვევის საბჭო მოეწყობა შემდეგი შედგენილობით:

ერთი წარმომადგენელი ამიერკავკასიის შრომის სახალხო კომისარიატისა, 1 წარმომადგენელი ამიერკავკასიის ფინანსთა სახალხო კომისარიატისა, თითო წარმომადგენელი აზერბაიჯანისა, სომხეთისა და საქართველოს სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოებისა, 1 წარმომადგენელი ამიერკავკასიის რკინის გზების სამმართველოსი, 2 წარმომადგენელი ამიერკავკასიის პროფესიონალურ კავშირთა საბჭოსი, თითო წარმომადგენელი აზერბაიჯანისა, სომხეთისა და საქართველოს პროფესიონალურ კავშირთა საბჭოებისა და 1 წარმომადგენელი ამიერკავკასიის რკინის გზების პროფესიონალურ კავშირთა საბჭოსი.

შენიშვნა. საბჭოს შედგენილობაში სათათბირო ხმით შედიან ამიერკავკასიის რესპუბლიკების ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატების წარმომადგენელნი.

3. ა/კ. ს. ფ. ს. რ. შრომის სახალხო კომისარიატი დანიშნავს საბჭოს თავმჯდომარის მუდმივ მოადგილეს, რომელიც ეწევა თავმჯდომარის მაგიერობას მისი არყოფნის დროს. სხვა უწყებანი და პროფესიონალური შენაერთნი დანიშნავენ საბჭოს წევრთა მუდმივ მოადგილეთ, რომელნიც ეწევიან წევრთა მაგიერობას მათი სხვაგან წასვლისას ან ავადმყოფობის გამო. თავმჯდომარისა და წევრთა მოადგილეებს დაამტკიცებს ა/კ. ს. ფ. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭო. თავმჯდომარისა და წევრთა მოადგილეებს, როდესაც მათ, ამა მუხლის თანახმად, არა აქვთ გადამწყვეტი ხმის უფლება, შეუძლიანთ დაესწრნენ საბჭოს სხდომებს სათათბირო ხმით

4. ამიერკავკასიის სოციალური დაზღვევის საბჭოს გამგებლობის საგანს შეადგენს:

ა) საერთო მიმართულება მისცეს სოციალურ დაზღვევის მთავარ სამმართველოს მოქმედებას, ისე-კი, რომ არ ჩაერიოს მის ოპერატიულ საქმიანობაში;

ბ) განიხილოს და დაამტკიცოს სოციალური დაზღვევის მთავარი სამმართველოს მუშაობის საერთო გეგმა;

გ) შეათანხმოს საერთო საფუძველები დაზღვეულთა და მათ ოჯახთათვის სამკურნალო დახმარების მოწყობისა და გამოიყენოს სამკურნალო დახმარების ფონდი და აგრეთვე ექსპერტიზისა და კონტროლის ორგანოების მოქმედება;

დ) განიხილოს და დაამტკიცოს სოციალური დაზღვევის მთავარი სამმართველოს ხარჯთაღრიცხვა;

ე) საერთო მეთვალყურეობა გაუწიოს სოციალური დაზღვევის მთავარი სამმართველოს მიერ დამტკიცებულ გეგმების შესრულებას და აგრეთვე განიხილოს პერიოდული მოხსენებანი და წლიური ანგარიშები;

ვ) განიხილოს ა/კ. ს. ფ. ს. რ. შრომის სახალხო კომისარიატისა და სხვა უწყებათა მიერ შემუშავებული ყველა კანონდებულების პროექტი სოციალური

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაზღვევის სფეროში, რაც შეტანილ უნდა იქნეს ა/კ. ს. ფ. ს. რ. საკანონმდებლო ორგანოებში, და მისცეს დასკვნა აღნიშნულ პროექტების შესახებ;

ზ) განიხილოს და დაამტკიცოს სოციალური დაზღვევის მთავარი სამმართველოს მიერ მომქმედ კანონდებულებათა განსავითარებლად შემუშავებული საერთო წესები და ინსტრუქციები, რომლებიც შეხება დაქირავებით მომუშავეთა ცალკე კატეგორიების ჩაბმას დაზღვევის საქმეში, სადასაზღვეო გადასახადების წესს, მომქმედი ტარიფების შეფარდებას. დამაზღვეველთა ცალკე ჯგუფებისათვის და სადასაზღვეო უზრუნველყოფის რაოდენობას;

თ) განმარტოს ხოლმე ა/კ ს. ფ. ს. რ. მომქმედი კანონდებულებანი სოციალური დაზღვევის შესახებ და მათ განსავითარებლად გამოცემული განკარგულებანი და ინსტრუქციები;

ი) განიხილოს ა/კ. ს. ფ. ს. რ. უწყებათა მიერ შეტანილი საჩივრები ამერიკავკასიის რესპუბლიკების შრომის სახალხო კომისარიატების გადაწყვეტილებაზე სოციალური დაზღვევის საკითხების გამო;

კ) დაამყაროს წესი სოციალური დაზღვევის ორგანოების სახსართა შენახვისა;

ლ) დაამყაროს სოციალური დაზღვევის ორგანოების ფინანსიური და სტატისტიკური ანგარიშგების ფორმები და აგრეთვე განიხილოს აღნიშნული ანგარიშგება;

მ) დაამყაროს, ამერიკავკასიის რესპუბლიკების ჯანმართლობის სახალხო კომისარიატებთან და ამერიკავკასიის ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოსთან შეთანხმებით, დაზღვეულთათვის გაწეული სამედიცინო დახმარების ანგარიშგების ფორმა;

ნ) შეიმუშაოს და დაამტკიცოს დაზღვევის სალაროს სანიმუშო წესდება.

5. ამერიკავკასიის სოციალური დაზღვევის საბჭოს სხდომებს დანიშნავს მისი თავმჯდომარე ორ თვეში ერთხელ მაინც. იმ საქმეებს, რომლებიც შეადგენს საბჭოს გამგებლობის საგანს, შეიტანენ უწყებანი და საბჭოს წევრნი თავმჯდომარის მეშვეობით.

6. ამერიკავკასიის სოციალური დაზღვევის საბჭოს სხდომაზე შეიძლება მიწვეულ იქნეს სათათბირო ხმით მცოდნე პირი და დაინტერესებული უწყების წარმომადგენელი.

7. ამერიკავკასიის სოციალური დაზღვევის საბჭოს სხდომა კანონიერად ჩაითვლება, უკეთუ მას დაესწრო საბჭოს წევრთა ნახევარი მაინც, თავმჯდომარისა ან მისი მოადგილის ჩათვლით.

8. ამერიკავკასიის სოციალური დაზღვევის საბჭოში საქმე გადასწყდება ხმის მარტივი უმეტესობით. საბჭოს ის დადგენილება, რომლის წინააღმდეგაც იმავე სხდომაზე რომელიმე წევრის მიერ განცხადებულია პროტესტი, — საბოლოო გადაწყვეტისათვის გადაიტანება ა/კ. ს. ფ. ს. რ. შრომის სახალხო კომისარიატის კოლეგიაში. უკეთუ 7 დღის განმავლობაში ა/კ. ს. ფ. ს. რ. შრომის სახალხო კომისარიატის კოლეგია არ გააუქმებს დადგენილებას, იგი ძალაში შედის. საბჭოს ის დადგენილება, რომლის გამოც აღნიშნული წესისამებრ პროტესტი არ

ეროვნული ბიბლიოთეკა

არის განცხადებული, დაუყოვნებლივ შედის ძალაში თვინიერ ა/კ. ს. ფ. ს. რ. სახალხო კომისარიატის დამტკიცებისა.

9. ამიერკავკასიის სოციალური დაზღვევის საბჭოს დადგენილებაზე და ა/კ. ს. ფ. ს. რ. შრომის სახალხო კომისარიატის კოლეგიის დადგენილებებზე ზემოაღნიშნული დადგენილების გაუქმების შესახებ—შეიძლება შეტანილ იქნეს პროტესტი დაინტერესებული უწყების ძიერ ა/კ. ს. ფ. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭოში; ხოლო პროტესტის შეტანა ვერ შეაჩერებს მიღებული დადგენილების განხორციელებას.

10. საბჭოს განმარტება პრინციპიალური საკითხის გამო გამოქვეყნებულ უნდა იქნეს ა/კ. ს. ფ. ს. რ. შრომის სახალხო კომისარიატის ოფიციალურ ორგანოში და სოციალური დაზღვევის ყველა ორგანოს მიერ მიიღება სახელმძღვანელოდ.

11. ამიერკავკასიის სოციალური დაზღვევის საბჭოს თავისი ტეხნიკური აპარატი არა ჰყავს და მას მომსახურეობას გაუწევს ამიერკავკასიის შრომის სახალხო კომიტეტის სოციალური დაზღვევის მთავარი სამმართველოს აპარატი.

ა/კ. ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **ს. ხანოიანი.**

ა/კ. ს. ფ. ს. რ. სახალხო კომისართა
საბჭოს ოავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი.**

ა/კ. ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის
მდივანი **ა. შავერდოვი.**

ტფილისი—სასახლე. 1925 წ. აპრილის 27.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 902 №-ში 1925 წ. ივნისის 17.

დადგენილება № 32 ა/კ. ს. ფ. ს. რ-ს სახალხო კომისართა საბჭოსი.

448. სამრეწველო ბაღებისა და ბოსტნების ადგილობრივი გადასახადის გადახდევინებისათვის ვადის დასაწყისის დაწესების შესახებ.

თანახმად „ადგილობრივი ფინანსების დროებითი დებულების" მე-60 მუხ. შენიშვნისა,—დებულების იმ შესწორებითურთ, რაც დამტკიცებულია ს. ს. რ. კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მიერ 1924 წ. ოქტომბრის 29-(დადგენილებანი ს. ს. რ. კავშირის მე-2 მოწვევის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მე-2 წესიისა)—ა/კ ს. ფ. ს. რ-ს სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

ადგილობრივი ფინანსების დროებითი დებულების 56 მუხლში გათვალისწინებული სამრეწველო ბაღებისა და ბოსტნების გადასახადის ვადახდევინების

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვადის დასაწყისი დაწესდება სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტებისა და ავტონომიური რესპუბლიკების და ოლქების ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტების მიერ იმ პირობით კი, რომ გადასახადის გასტუმრების ვადა შეფარდებულ იქნეს, ადგილობრივი პირობების მიხედვით, ბაღ-ბოსტნეული მრეწველობის პროდუქტების რეალიზაციის მომენტთან ამა თუ იმ ადგილას.

ა/კ. ს. ფ. ს. რ-ს სახალხო კომისარიატ
საბჭოს თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი.**

ა/კ. ს. ფ. ს. რ-ს სახალხო კომისარიატ საბჭოს
საქმეთა მმართველის თან. დრ. აღმ. **ნ. სოკოლსკი.**

ტფილისი-სასახლე. 1925 წ. ივნისის 10

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 904 №-ში 1925 წ. ივნისის 19-ს.

დადგენილება ა/კ. რკინის გზების გამგეობასთან არსებული საუწყებათაშორისო სატარიფო თათბირისა 1925 წ. ივნისის 4 და 12 თარიღითა.

(ოქმი № 7-4/9 და 4/6)

449. შეღავათიანი ტარიფის დაწესების შესახებ სომხეთისა და აზერბაიჯანის განათლების სახალხო კომისარიატებისა და პროფესიონოლურ კავშირთა საბჭოების ექსკურსანტ-მუშათა და ექსკურსანტ-მოსწავლეთათვის.

სომხეთის ს. ს. რ ს პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს ექსკურსანტ-მუშათა მგზავრობისათვის—არა უმეტეს 1.378 კაცისა—ა/კ. რკ. გზის ადგილობრივი მიმოსვლის წესით და აზერბაიჯანის ს. ს. რ. პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს ექსკურსანტ-მუშათათვის რიცხვით 100 კაცამდე, ბაქოს სადგურიდან ბათუმის სადგურამდე დაწესებულ იქნეს შემცირებული შეღავათიანი ტარიფი ნორმალური ტარიფისათვის 50 % მონაკლებით.

ანალოგიური შეღავათიანი ტარიფი იქნეს დაწესებული სომხეთის ს. ს. რ-ს განათლების სახალხო კომისარიატის ექსკურსანტ—მოსწავლეთა მგზავრობისათვის—არა უმეტეს 800 კაცისა და აზერბაიჯანის ს. ს. რ ს განთლების სახალხო კომისარიატის აგრეთვე არა უმეტეს 800 კაცისათვის, ა/კ. რკ. გზ. ადგილობრივი მიმოსვლის წესით.

მიღებულ იქნეს როგორც წესი, რომ შემცირებული საექსკურსიო ტარიფი ამა დადგენილების მიხედვით შეიძლება შეფარდებულ იქნეს მარტოოდენ იმ პირობით, უკეთუ თვითეულ მოექსკურსე ჯგუფში იქნება არა ნაკლებ 20 კაცისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეს შეღავათიანი ტარიფი დაწესებულია ვადით 1925 წ. ოქტომბრის 1-დე და შეფარდებულ უნდა იქნეს იმ პირობიდ, უკეთუ წარდგენილ იქნებ წარგზავნის სადგურზე ა/კ. რკ. გზის სპეციალური მოწმობები 1-ლი №-რის ფორმით.

აღნიშნული მოწმობები შევსებულ უნდა იქნეს სათანადო განათლების სახალხო კომისარიატისა და პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს მიერ თვითეული ექსკურსანტის შესახებ და ხელმოწერილი პასუხისმგებელი პირის მიერ, თანაც ბეჭდის დასმით.

ამ მოწმობებს ძალა აქვს მხოლოდ ერთი მგზავრობისათვის; ამას გარდა, მოწმობებს უნდა ჰქონდეს ა/კ. რკ. გზ. გამოსაღებთა განყოფილების საგიზო ბეჭედი, ურომლისოდაც მოწმობას ძალა არ ექნება.

მოწმობა შეღავ. ტარიფ. ბილეთის მიღებისათვის წარდგენილ უნდა იქნეს წარგზავნის სადგურის სალაროში ტალონიფურთ, რომელ ტალონზედაც ბილეთის მომცემი სადგური დაასვამს ბილეთის ნომერს და ამას ხელისმოწერითაც დაადასტურებს, ხოლო ამასთანავე თვით ბილეთს დასვამს შტემპელს „შეღავათიანი“ და აღნიშნავს ბილეთზედ მოწმობის ტალონის №-ს.

შეღავათიანი ტარიფის ბილეთი არ უნდა გაიცეს სადგურის მიერ მოწმობაზე შეცვლით, უკეთუ მოწმობა წარდგენილ იქნება უტალონოდ.

ტარიფი ესე რბილ ვაგონებში და სასწრაფო მატარებელით მგზავრობაზე არ გავრცელდება.

დაჭერილი ადგილების პლაცკარტის ფასი გადახდილ უნდა იქნეს საერთო საფფძველზე და უმონაკლებოდ.

ამა შეღავათიანი ტარიფით მიმომსვლელ პირს თან უნდა ჰქონდეს და წარუდგინოს ხოლმე კონტროლს, ბილეთთან და სამგზავრო მოწმობის ტალონთან ერთად, აგრეთვე ის დოკუმენტები, რითაც დამტკიცდება მისი უფლება შეღავათიანი ტარიფით მგზავრობისა.

დადგენილება ესე ძალაში შედის გამოქვეყნებიდან 7 დღის გასვლისას.

ა/კ. რკ. გზ. გამგეობასთან არსებული საუწყებათაშორისო
სატარიფო თათბირის თავმჯდომარის მოადგ. **ფიცხელაური.**
სატარიფო თათბირის საქმეთა მმართველი **შახბუდაღოვი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვასტოკა“-ს 904 №-ში 1925 წ. ივნისის 19-ს.

დადგენილება № 33 ა/კ ს. ფ. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭოსი.

450. უწყებათა სპეციალური სახსარის შესახებ.

რათა მოწესრიგებულ იქნეს უწყებათა სპეციალური სახსარის შექმნისა და გამგებლობის საქმე—ა/კ ს. ფ. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

დამტკიცებულ იქნეს შემდეგი „დროებითი წესები უწყებათა სპეციალური სახსარის შექმნისა და გამგებლობის შესახებ“.

№ ეროვნული ბიბლიოთეკა

დროებითი წესები უწყებათა სპეციალური სახსარის შექმნისა და გამგებლობის შესახებ.

1. ა/კ. ს. ფ. ს. რ. ყველა სახელმწიფო სახსარი და მოთხოვნილება აღნუსხულია ა/კ ს. ფ. ს. რ. ერთიან სახელმწიფო ბიუჯეტში. სახელმწიფო ბიუჯეტის სახსართა გარეშე, სახელმწიფო ორგანოების განკარგულებაში არ უნდა იყოს არავითარი სხვა სახსარი, საიდანაც შეიძლება გაწეულ იქნეს ხარჯი ამ ორგანოთა საჭიროებისათვის, იმ გამონაკლისთა გარდა, რაც აღნიშნულია შემდეგ მუხლში.

2. სახელმწიფო ფედერატიულ და რესპუბლიკანურ ბიუჯეტში შეტანილ არ უნდა იქნეს:

ა) ადგილობრივი სახსარი, რაც გადაცემულია ადგილობრივ აღმასრულებელ კომიტეტების განკარგულებაში;

ბ) შემოსავალი და გასავალი სამეურნეო ანგარიშზე მყოფ სამრეწველო, სავაჭრო და საკრედიტო ხასიათის სახელმწიფო საწარმოთა, იმ ანარიცხთა გამონაკლისით, რაც საკანონმდებლო წესისამებრ დადგენილია მოგებიდან სახელმწიფო ბიუჯეტში შესატანად, აგრეთვე გაცემულ სესხთა და იმ დოტაციათა გამონაკლისით, რაც გადაიდება საერთო საბიუჯეტო წესისამებრ;

გ) დეპოზიტი, ე. ი. ისეთი კერძო თანხა, რაც ხაზინას არ ეკუთვნის, ხოლო რაც დროებით სახელმწიფო ორგანოს განკარგულებაში შესულა, როგორც მაგალითად, საწინდარი და სხვა გარდამავალი თანხა;

დ) უწყებათა სპეციალური სახსარი, რომლის სახითაც იგულისხმება სახელმწიფო ბიუჯეტზე მყოფ უწყებისა და დაწესებულების უშუალო განკარგულებაში საკანონმდებლო წესით გაცემული სხვა და-სხვაგვარი კაპიტალი და სხვა ფულადი სახსარი—ამა დადგენილების მე-11 მუხ. წესისამებრ დასახარჯავად.

3. უწყებისა, დაწესებულებისა ან მათი ორგანოს სპეციალურ სახსარს შეადგენს:

ა) უწყების მიერ ადმინისტრატიულად მოგვარებულ სახელმწიფო შემოსავლის ანარიცხი ან მიზნობრივი ზედნართი, რაც დაწესებულია ამიერკავკასიის ცენტრ. აღმ. კომიტეტისა და ა/კ. ს. ფ. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭოს განსაკუთრებული დადგენილებით;

ბ) სპეციალური შემოსავლის ცალკე კატეგორია, რაც, ა/კ ცენ. აღმ. კომსა და ა/კ ს. ფ. ს. რ. სახ. კომის. საბჭოს განსაკუთრებული დადგენილების თანახმად, მიქცეულია უწყების საჭიროებისათვის;

გ) შემოწირული კაპიტალი და ქონება;

დ) ბიუჯეტის-გარეშე ფონდი, რომელსაც სპეციალური დანიშნულება აქვს და რომელიც დაწესებულია ან გაცემულია ამიერკავ. ცენ. აღმ. კ-სა და ა/კ. ს. ფ. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭოს მიერ.

4. ა/კ. ს. ფ. ს. რ. გაერთიანებული და არა-გაერთიანებული უწყება და დაწესებულება მოვალეა წარუდგინოს ა/კ. ფინანსთა სახ. კომისარიატს სახელწოდებითი ნუსხა იმ კაპიტალისა და შემოსავლისა, რაც აქამდე გასპეციალურებულია საკანონმდებლო წესით. ეს ნუსხები, ერთი თვის ვადაზე დღიდან ამა დადგენი-

ლების გამოცემისა, წარდგენილ უნდა იქნეს ა/კ. ფინ. სახ. კომისარიატის მიერ—მისივე დასკვნითურთ—ა/კ. ს. ფ. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭოში დასამტკიცებლად.

5. სპეციალურ სახსართა სიის დამტკიცების შემდეგ, ყველა ის სპეციალური სახსარი, რომელიც-კი სიაში არ იქნა შეტანილი, დაიხურება.

ახალი სპეციალური სახსარის შექმნა და გადაცემა უწყებისა და დაწესებულებისათვის ამა თუ იმ შემოსავლისა და ანარიცხისა, სახელმწიფო ბიუჯეტის ერთიანობის ზოგადი პრინციპის გამონაკლისის წესით, შეიძლება მხოლოდ ამა დადგენილების მე-3 მუხ. თანახმად და თვითეულ ცალკე შემთხვევაში დაინტერესებული უწყების შეთანხმებით ა/კ. ფინანსთა სახალხო კომისარიატთან.

6. უკეთუ უწყებისა და დაწესებულების სპეციალური სახსარი შექმნილია ხელუხლებელი კაპიტალით და შეიძლება დაიხარჯოს მხოლოდ ამ კაპიტალის პროცენტი, მთლად ხელთქონებული კაპიტალი, რა თანხაც უნდა იყოს, მოთავსებულ უნდა იქნეს სახელმწიფოს საპროცენტო ქაღალდებში დაინახებოდეს ფინანსთა სახალხო კომისარიატის სალაროში. სპეციალური სახსარის სახით ფინანსთა სახალხო კომისარიატის სალაროში შესული ფასიანი ქაღალდები ჩაირიცხება ბალანს-გარე ანგარიშზე განმკარგულებელი დაწესებულების ფასიანი ქაღალდების დეპოზიტად, ხოლო მათი პროცენტები ჩაირიცხება სპეციალური სახსარის ანგარიშზე.

7. უკეთუ სპეციალური სახსარი შექმნილია მიღებული შემოწირულებით და მისი დახარჯვა დამოკიდებულია სპეციალური პირობების აღსრულებაზე, ამ სახსარის დახარჯვა შეიძლება სწრმოებდეს მარტოოდენ იმის შემდეგ, როდესაც ამ პირობებს დაამტკიცებენ ა/კ. ცენტრ. აღმ. კომიტეტი და ა/კ. ს. ფ. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭო. ხოლო, უკეთუ პირობები დამტკიცებულ არ იქნა, შემოტანილი შემოწირულება მთლად შემწირველს უნდა დაებრუნოს

8. სპეციალური სახსარის შესადგენად არ შეიძლება მიქცეულ იქნეს:

სახელმწიფო ბიუჯეტიდან პირდიპარი ასიგნეიბით გადადებული თანხები (სახარჯთაღრიცხვო კრედიტი);

ბ) საგადასახადო შემოსავალი და მისი ანარიცხი;

გ) არა-საგადასახადო შემოსავალი და მისი ანარიცხი ან მისივე მიზნობრივი ზედნართი, რაც უკვე შეტანილია საბიუჯეტო წყაროების შედგენილობაში.

9. ყველა უწყება მოვალეა წარადგინოს ყოველ წლივ, სახელმწიფო ბიუჯეტის მიხედვით, თავისი ფინანსიური ხარჯთაღრიცხვის დანართის სახით, მის განკარგულებაში ქონებულ სპეციალურ სახსართა ნუსხა, წარსული საბიუჯეტო წლის ანგარიში ამ სახსართა ბრუნვისა და სახარჯთაღრიცხვო განზრახულებანი ამ სახსართა გამო მომავალი საბიუჯეტო წლისათვის. ეს მასალა განხილულ უნდა იქნეს ყველა იმ ინსტანციის მიერ, რომელიც იხილავს სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯთაღრიცხვებს, რათა განხორციელებულ იქნეს საკონონმდებლო კონტროლი სპეციალურ სახსართათვის, და რათა შეთანხმებულ იქნეს სახელმწიფო ბიუჯეტით კრედიტების გაცემა უწყების განკარკულებაში ქონებულ სპეციალურ სახსართა რაოდენობასთან.

10. სპეციალურ სახსარში შესული ყველა ფულადი თანხა, მიღებისთანავე, დაუყოვნებლივ შეიტანება ფინანსთა სახალხო კომისარიატის სალაროში

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ამ უკანასკნელის მიერ ჩაირიცხება განსაკუთრებულ „სპეციალურ სახსართა“ ანგარიშზე

შენიშვნა. იმ ადგილას, სადაც ფინანსთა სახალხო კომისარიატის სალარო არ არის, სპეციალური სახსარის თანხა 500 მანეთამდე შეიძლება დატოვებულ იქნეს დაწესებულების სალაროში. ასეთ დაწესებულებათა სიას დაადგენს ფინანსთა სახ. კომისარიატის რწმუნებული სათანადო რესპუბლიკაში დაინტერესებულ უწყებასთან შეთანხმებით.

11. სპეციალური სახსრიდან ხარჯი შეიძლება გაწეულ იქნეს მარტოოდენ იმ მიზნისათვის, რისთვისაც შექმნილია სპეციალური სახსარი, და თანაც მხოლოდ რეალური ხელთქონებულობის ფარგლებში. უწყებისა ან მისი ორგანოს მიერ ფულის მიღება ფინანსთა სახალხო კომისარიატის სალაროში ქონებული სპეციალური სახსრიდან სწარმოებს ამ სახსარის განმკარგულებელის ასიგნობით; ამასთანავე აღნიშნული ოპერაცია განმკარგულებელმა უნდა აწარმოოს სრული შეფარდებით მომქმედი საკასო წესებისათვის.

12. უწყებათა სპეციალური სახსრის აღნუსხვა უნდა დაეკისროს იმ დაწესებულების საფინანსო განყოფილებას, რომელსაც ეს სახსარი ეკუთვნის.

13. თვითეული უწყება თავისი სპეციალური სახსარის ანგარიშ-წარმოებისა და ანგარიშგების წესებს დაამყარებს თითონ, ხოლო ა/კ. ფინანსთა სახალხო კომისარიატთან და ა/კ. მუშათა და გლეხთა ინსპექციასთან შეთანხმებით.

14. სპეციალურ სახსართა ბრუნვა ექვემდებარება საფინანსო კონტროლის დაწესებულებათა კონტროლს თანაბრად ყველა სახელმწიფო შემოსავლისა და გასავლის საერთო საფუძვლებისა.

ა/კ. ს. ფ. ს. რ. სახალხო კომისართა
საბჭოს თამჯდომარე **მ. ორახელა**შვილი.

ა/კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველის თან. დრ. აღმ. **ნ. სოკოლსკი.**

ტფილისი—სასახლე. 1925 წ. ივნისის 18.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 906 №-ში 1925 წ. ივნისის 21-ს.

დადგენილება № 45 აკ. ს.ფ. ს. რ. შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატისა

1925 წ. ივნისის 20

451. სავაჭრო და სამრეწველო საწარმოთა რეგისტრაციის ვადის განგრძნობის შესახებ.

რადგანაც სავაჭრო და სამრეწველო საწარმოთაგან შემოდის თხოვნები, რომ განგრძნობილ იქნეს იმ რეგისტრაციის ვადა, რომელსაც „ერთიანი სავაჭრო რეესტრის შესახებ“ ა/კ. ს. ფ. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭოს მიერ მე-10 №-რით გამოცემული („ზარია ვოსტოკა“-ს 875 №-რი 1925 წ. მაისის 15-სა)

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაეგენილების თანახმად, აწარმოებენ ა/კ. ს. ფ. ს. რ. შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატის ორგანოები, ა/კ. ს. ფ. ს. რ. შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატი ადგენს:

1. სავაჭრო და სამრეწველო საწარმოთა რეგისტრაციის ვადა, რომელიც აღნიშნულია ა/კ. ს. ფ. ს. რ. შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატის 44 №-რის დადგენილებაში („ზარია ვოსტოკა"-ს 889 №-რი 1925 წ. მაისის 31-სა) განგრძობილია ამა წლის ივლისის 10-დე.

2. ხელმეორედ დადასტურებულია ა/კ. ს. ფ. ს. რ. შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატის 44 №-რის დადგენილების („ზარ. ვოს."-ს 899 №-რი 1925 წ. მაისის 31-სა) 1-ლსა და მე-2 მუხ. აღნიშნულ სავაჭრო და სამრეწველო საწარმოთა მოვალეობა, რომ, იმავე დადგენილების მე-3 მუხ. აღნიშნულ ცნობათა წარდგენასთან ერთად, უნდა წარადგინონ: ა) დოკუმენტები (წესდება, დებულება, რწმუნებულობა, ბალანსი და სხვ.), რაზედაც ეს ცნობებია დამყარებული, და ბ) ქვითარი ა/კ. ს. ფ. ს. რ. ფინანსთა სახალხო კომისარიატის სალაროში სარეგისტრაციო გამოსაღების შეტანისა, თანახმად ა/კ. ს. ფ. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭოს მე-19 №-რის დადგენილებისა—„სავაჭრო და სხვ. საწარმოთა რეგისტრაციის გამოსაღების შესახებ"-(„ზარ. ვოსტ-"ს 879 №-რი 1925 წ. მაისის 25-სა.)

3. ა/კ. ს. ფ. ს. რ. შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატის 44 №-რის დადგენილების („ზარ. ვოსტ."-ს 889 №-რი 1925 წ. მაისის 31-სა) 1-ლსა და მე-2 მუხ. აღნიშნულ საწარმოთა ის ხელმძღვანელი, რომელიც ვადაზე არ წარადგენს სავაჭრო რეესტრში შესატან ცნობებს ან წარადგენს არა-სწორ ცნობებს, მიცემულ იქნება პასუხისგებაში სათანადო რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსისამებრ.

4. სხვა დაწესებულების მიერ გაკეთებული რეგისტრაცია სავაჭრო და სამრეწველო საწარმოსა არ ანთავისუფლებს ამ საწარმოს ა/კ. ს. ფ. ს. რ. შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატის ორგანოთა რეგისტაციისაგან თანახმად ა/კ. ს. ფ. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭოს კანონისა „ერთიანი სავაჭრო რეესტრის შესახებ".

5. დადგენილება ეს ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

ა/კ. ს. ფ. ს. რ. შინა-ვაჭრობის სახალხო კომისრის მოად. **გამყრელიძე.**

საქმეთა მმართველი **აბესაძე.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 907 №-ში 1925 წ. ივნისის 23 ს.

დადგენილება № 35 ა/კ. ს. ფ. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭოსი.

452. სასოფლო-სამეურნეო გადასახადის ანარიცხის შესახებ 1925-26 წლისათვის.

ს. ს. რ-ბის კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1925 წ. ივნისის 3-ს დადგენილების თანახმად ა/კ. ს. ფ. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დაწესებულ იქნეს წინამდებარე 1925/26 საბიუჯეტო წლისათვის სასოფლო სამეურნეო გადასახადის ანარიცხი საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნის რესპუბლიკების ადგილობრივ სახსართა შემოსავალში გადასაცემად ორმოცდა ერთი და ნახევარი პროცენტის რაოდენობით თვითეული რესპუბლიკისათვის.

2. წინადადება მიეცეს საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის სოც. საბ. რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს—განსაზღვრონ მიმდინარე წლის ივლისის 1-თ. სასოფლო-სამეურნეო გადასახადის $41^1/_2\%$ ანარიცხის ფარგლებში, ამა ანარიცხის რაოდენობა სათანადო რესპუბლიკის შედგენილობაში შემავალი ცალკე ავტონომიური რესპუბლიკებისა, ოლქებისა და მაზრებისათვის.

3. სასოფლო-სამეურნეო გადასახადის ანარიცხის ყველა თანხა მოხმარებულ უნდა იქნეს უბნებისა, თემებისა და დაირის საჭაროებათათვის ამ თანხების სათანადო ბიუჯეტებში ჩარიცხვით.

ა/კ. ს. ფ. ს. რ. სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი.**

ა/კ. ს. ფ. ს. რ. სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველოს თან. დრ. აღმ. **ნ. სოკოლსკი.**

ტფილისი-სასახლე. 1925 წ. ივნისის 18.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა„-ს 910 № ში 1925 წ. ივნისის 26.

დადგენილება № 36 ა/კ. ს. ფ. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭოსი.

453. საურთიერთო კრედიტის საზოგადოებათათვის ნებართვის მიცემის შესახებ, რათა სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების გირავნობით სესხი აძლიონ და კრედიტი გაუხსნან იმ პირებს, ვინც ამ საზოგადოებათა წევრად არ ირიცხება.

რათა სახელმწიფო ფასიან ქაღალდების მქონებელთ რაც შეიძლება მეტი საშუალება მიეცეთ ამ ქაღალდების გამოყენებისათვის—ა/კ. ს. ფ. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. ნება დაერთოს საურთიერთო კრედიტის საზოგადოებათ, თანახმად მათი წესდებისა, მისცენ ხოლმე სესხი და გაუხსნან კრედიტი სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების გირავნობით არა მარტო თავიანთ წევრებს, არამედ იმ პირებსაც, ვინც საზოგადოების წევრად არ ირიცხება.

2. ამასთან დაკავშირებით, ა/კ. ს. ფ. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭოს ნიერ 1925 წ. აპრილის 2-ს დამტკიცებული საურთიერთო კრედიტის საზოგადოებათა ნორმალური წესდების 21 §-ს მე-2 ბ. „გ„-ს დაემატოს შემდეგი **შენიშვნა:**

ეროვნული ბიბლიოთეკა

„საზოგადოებას უფლება ეძლევა სესხი მისცეს და კრედიტი გაუხსნას სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების გირავნობით, ამა პუნქტში აღნიშნულ საფუძველზე, არა მარტო საზოგადოების წევრთ, არამედ იმ პირებსაც, ვინც საზოგადოების წევრად არ ირიცხება“.

3. ამ დადგენილებაში აღნიშნული ოპერაციები საურთიერთო კრედიტის საზოგადოებათ ნება აქვთ აწარმოონ ამა დადგენილების გამოქვეყნების დღიდან.

ა/კ. ს. ფ. ს. რ. სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი.**

ა/კ. ს. ფ. ს. რ. სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველის თან. დრ. აღმ. **ნ. სოკოლსკი.**

ტფილისი—სასახლე. 1925 წ. ივნისის 18.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 910 №-ში 1925 წ. ივნისის 26-ს.

დადგენილება № 48 ამიერკავკასიის შრომის სახალხო კომისარიატისა.

1925 წ. ივნისის 20.

454. სოციალური დაზღვევის გადასახადის ტარიფის თაობაზე ს. ს. რ-ბის კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს მიერ 1925 წ. თებერვლის 26-ს თარიღით გამოცემული დადგენილების შეფარდების წესისათვის შემუშავებული ინსტრუქციის სამოქმედოდ შემოღების შესახებ.

ამიერკავკასიის შრომის სახალხო კომისარიატი ადგენს:

„მუშა-მოსამსახურეთათვის მიცემული საწარვლინებო და საწარმავლო თანხებიდან სადასაზღვევო გადასახადის გადახდევინების შესახებ ამიერკავკასიის შრომის სახალხო კომისარიატის მიერ გამოცემულ დადგენილებებისა და ცირკულარებისა („ა/კ. შ. ს. კ. იზვესტია“-ს მე-5 №-რი, ცირკ. 1923 წ. აგვისტოს 11-ს თარიღისა და 83 №-რისა), „სალიკვიდაციო და შვებულების გამოუყენებლობისათვის მისაცემ თანხებიდან სოციალურ დაზღვევისათვის გადასახადის ანარიცხების შესახებ“ ა/კ შრომის სახალხო კომისარიატის მიერ გამოცემული 42 № რის დადგენილების („ა/კ. შ. ს. კ. „იზვესტია“-ს მე-3-4 №-რი 1923 წ. მარტის 31-სა), ა/კ. შ. ს. კ. ცირკ. 1923 წ. აგვისტოს 11-ს თარიღისა და 83 №-რისა („ა/კ. შ. ს, კ. იზვესტია“-ს მე-5 №-რი) გასაუქმებლად—შემოღებულ იქნეს სამოქმედოდ ამიერკავკასიის ფედერაციის ტერიტორიაზე ს. ს. რ-ბის კავშირის შრომის სახალხო კომისარიატთან არსებული სოციალური და-

ზღვევის საკავშირო საბჭოს 1925 წ. აპრილის 9-ს თარიღისა და 135/197 №-რის ინსტრუქცია „სოციალური დაზღვევის გადასახადის ტარიფის“ თაობაზე ს. ს. რ-ბის კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს მიერ 1925 წ. თებერვლის 26 ს თარიღით გამოცემული დადგენილების შეფარდების წესისათვის“. („ს. ს. რ. კავშ. შრ. ს. კომ. იზვესტია“-ს 1925 წ. 23 №-რი და გაზ. „ტრუდ“-ს 99 №-რი 1925 წ. მაისის 3-სა).

ამიერკავკასიის შრომის
სახალხო კომისარი **ს. იაკუბოვი.**

ა/კ. შრ. სახ. კ-ტის მთავარი სოც. დაზღვ.
სამმართველოს უფროსის მაგიერ. **გოდაბრელიძე**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა-“ს 911 №-რში 1925 წ. ივნისის 27-ს

განმარტება ამიერკავკასიის შრომის სახალხო კომისარიატისა.

455. ავდრიანობაში მუშაობის შეწყვეტისა და მოცდენისათვის სასყიდლის მიცემის წესახებ.

რადგანაც ამიერკავკასიის შრომის სახალხო კომისარიატს მოსდის შეკითხვები წვიმისა და სხვა და სხვა მძიმე ატმოსფერულ მოვლენების გამო მუშაობის შეწყვეტისა და მუშაობის შეწყვეტის დროს მუშებისათვის სასყიდლის მიცემის წესის შესახებ, ამიერკავკასიის შრომის სახალხო კომისარიატი განმარტავს:

დიდი წვიმისა ან სხვა მძიმე ატმოსფერულ მოვლენის დროს ჰაერზე წარმოებული მუშაობა შეწყვეტილ უნდა იქნეს შეწყვეტული სამუშაოს უშუალო ხელმძღვანელის განკარგულებით.

შენიშვნა. მუშაობა არ შესწყდება, როდესაც იგი დაკავშირებულია სასწრაფო, საზოგადოებრივ აუცილებელ სამუშაოსთან ტრანსპორტისა, წყლის მიწოდებისა, განათებისა, კანალიზაციისა, ფოსტა-ტელეგრაფისა და ტელეფონისათვის.

მუდმივ მუშასა და მოსამსახურეს მუშაობის შეჩერების დროს სასყიდელი მიეცემა საშუალო ხელფასის მიხედვით იმ საფუძველზე, რაც აღნიშნულია შრომის კანონთა კოდექსის 68 მუხ. და ამიერკავკასიის შრომის სახალხო კომისარიატის 1924 წ. ივლისის 28-ს თარიღისა და 102 №-რის დადგენილებაში „საშუალო სამუშაო ხელფასის განსაზღვრის წესის შესახებ“; ამასთანავე ადმინისტრაციას უფლება აქვს გამოიყენოს მუდმივი მუშა სხვა სამუშაოზე დახურულ სადგომში (შრომის კანონთა კოდექსის 36 მუხ. აღნიშნულ საფუძველზე).

ავდრიანობით ნაიძულევ შეჩერების დროისათვის სასეზონო და დროებითი მუშას, რომელსაც სასყიდელი თვიურად ეძლევა, არაფერი დაეჭირება. სასეზონო და დროებითი მუშას, რომელიც იღებს საწარმავლო და ნაჭრობითი გასამრჯე-

ლოს, სასყიდელი ავდრიანობის გამო შეჩერებისათვის არ მიეცემა, უკეთუ სათანადო კოლექტიური და შრომის ხელშეკრულებით სხვა პირობები არ არის დაწესებული.

უკეთუ მუშა და მოსამსახურე სამუშაოს ავდრიან დღეს შეუდგება, ხოლო შემდეგში მუშაობა რამდენიმე საათით შეჩერებულ იქნება, სამუშაო ხელფასი ამ დღისთვის როგორც მუდმივ, ისე დროებითი და სასეზონო მუშას და მოსამსახურეს მიეცემა სრულად, რისამე გამოუკლებლად შეჩერებისათვის; ამასთანავე დამქირავებელს უფლება აქვს გამოიყენოს როგორც მუდმივი, ისე დროებითი და სასეზონო მუშა სხვა სამუშაოსათვის დახურულ სადგომში (შრ. კან. კოდექს. 36 მუხ.)

ყოველი კონფლიქტი, რაც აღიძვრის ავდრიანობაში მუშაობისა და სასყიდლის მიცემის ნიადაგზე, გადასწყდება საერთო საფუძველზე შემფასებელ-საკონფლიქტო კომისიაში და შრომის კანონთა კოდექსში აღნიშნულ სხვა საკონფლიქტო ორგანოებში, ხოლო გლეხთა მეურნეობაში დაქირავებულ მუშების შესახებ— მომრიგებელ კომისიაში იმ საფუძველზე, რაც აღნიშნულია ს. ს. რ-ბის კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1925 წ. აპრილის 18-ს დადგენილებაში „გლეხთა მეურნეობაში დამხმარე დაქირავებული შრომის გამოყენების პირობების შესახებ“ (გამოქვეყნებულია „ა/კ. ს. ფ. ს. რ. შრომის სახ. კ-ტის შრომის კანონმდებლობის ვესტნიკ“-ში.)

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 912 №-ში 1925 წლის ივნისის 28-ს.

ს. ს. მ. უ. ს. პოლიგრაფტრესტის 1-ლი სტამბა, ჩლეხანოვის პრ., № 91.

მთავარლიტ № 1163. შეკვ. № —/88. დაიბ. 1.500.